# ერი

№ 5

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . 7 მანეთი

ნახევარი წლით. . . . . . . . 4 მანეთი

თვიურათ . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნუმრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 6 ნოემბ.

მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „Е Р И“ Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.


ეროვნული ბიბლიოთეკა


## 1913 წელი.

ქუთაისში 1 ნოემბრიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო, სალიტერატურო და ეკონომიური გაზეთი

## „ე რ ი“

**გაზეთის ფასი:**

ერთი წლით . . . 7 მანეთი,
ნახევარი წლით . . . 4 მანეთი.
ერთი თვით. . . . 4 აბაზი.
და ცალკე ნუმრის . . 1 შაური,

წლიური ხელისმომწერთ გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელისმოწერის დროს სამი მანეთი, დანარჩენიც ნაწილ-ნაწილათ. სოფლის მასწავლებლებს გაზეთი დაეთმობათ წელიწადში 5 მანეთად.

მისამართი: Кутаисъ—редак. газ. „Эри“. Ивановская, д. В. Чиладзе.

ფული და ყოველივე ანგარიში აუცილებლათ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს: Кутаисъ, Кантора газ. „Ери“.

## ახლათ გამოშვებული პაპიროზები „დ ე ლ ი - ბ ა ბ“

10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ. — ი ყ ი დ ე ბ ა ყ ვ ე ლ გ ა ნ.

პაპიროზები კეთდება გამოჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს. თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლისა“ ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი ნოემბრიდან დადიანის ქუჩაზე საკუთარ სახლში იხსნება

**ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია**

პ რ ო ვ ი ზ ო რ ი ს

## პ. ს. ჩინჩალაძისა.

ვღებულობ ანალიზებს! **შარდისას, სისხლისას, ნახველისას, თესლისას, კუჭის სითხისას, ქალის რძისასა და სხვა.**

ბაქტერიოლოგიური გამოკვლევა დიფტერიის ბაცილებისა.

ლაბორატორიიდან ეძლევათ ბატ. აქიმებს ტამპონები ყელში მასალის ამოსაღებათ.

## ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი აქიმებით.

## მუდმივი საწოლებით

## თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

| | |
|---|---|
| **დ ი ლ ი თ.** | |
| დ. ი. ჯაფარიძე—ყელის, ცხვირის, ყურისა და შინაგ . . . . | 8—10 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. . . . . . | 12—2 |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | $12^1/_2$ 2 |
| **ს ა ღ ა მ ო თ.** | |
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . . | $4^1/_2$—$5^1/_2$ |
| ვ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . . | $5^1/_2$—$6^1/_2$ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. აქიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოლოშვილი.** ჭ.

## მევენახეთა საყურადღებოთ!

1913 წლის ღვინის მოსავლს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო.

ამერიკული ვაზის სანერგე **„კლდ ყლურული“** ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული. 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოს—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო“-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზებისა 65 მან. 1000 და საჭმელისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოკიელის სახლში **ვ. ტიეგო.**

## პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსების, რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნების და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზიის **უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები:** კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ბეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების, რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს **ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.**

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

კაც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციოს ყურადღება ახლათ გამოსული პაპიროზებს

**პ ა რ ო ს ი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძ მ ა თ ა ს ე ი ლ ა ნ ო ვ ე ბ ი ს ა.** თ ფ ი ლ ი ს შ ი.

## გ. მორდამისა და ს. წერეთლის

ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესა სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ფუთოზე ნიშანს „БЕМСКОЕ“

**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**

საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
**საქონელი: კარის,** ფანჯრის
და **ღუმელის** მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი სალებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიითა და წვრილათ ხელმისაწდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

**აქიმი ი. ჩარექოვი** იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს **ახალ ბინაზე.** მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს აქიმი საავათმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი.

## მ. გალანჩივაძისამ

კვლავ განაახლა ავათმყოფების მიღება ვკურნავ მასაჟით, სააქიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: **მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს, მეტ სიწითლეს, ნაყვავილებსა** და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას, აგრეთვე ვუცრი ყვავილსაც.

გენერლის ქუჩა, აქიმის ს. ლორთქიფანიძის სახლი. თ.

**ა ქ ი მ ი გ. ა. მეიფარიანი.** ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ, თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

## ლაბა ზესტაფონი

**აქიმი ლ. დ. ნაზაროვი**

მიიღებს ავათმყოფებს: შინაგანის და ბავშთა, პარასკევსა და კვირას დილის 9—1 საათამდი. თედორე არდიშვილის სახლი, რკ.-გზ. სადგურის პირდაპირ.

**ა ქ ი მ ი ქ. თ. ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს (**შინაგანი, ვენერიული, კანის**) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

**აქიმმა ბ. ა. მირაქოვმა** დროებით რუსეთში წასვლის გამო შეწყვიტა ავათმყოფების მიღება.

**აქიმი დ. ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი ვ. ა. ნემსაძე** ღებულობს შინაგან სნეულებიან ავათმყოფებს ნაშვადღევის 3—6 საათ. თფილისის ქუჩა, ჯორჯიკიას სახლი. თ.


## † ანტონ ფურცელაძე.

მესამოცეთა ბრწყინვალე გუნდი, რომელმაც დაუფასებელი ამაგი დასდვა, მშობელი ერის გამოღვიძებას, რომელმაც პირველათ ჩვენში აღამაღლა ბეჯითაჲ ხმა ერის დაჩაგრული ნაწილის საქომაგოთ, რომლის დროშაზეც ადამიანის უფლება და მოქალაქობა ეწერა, ის გუნდი, რომელმაც შექმნა მთელი დიადი ეპოქა ჩვენი საზოგადოებრივი აზროვნების ისტორიაში, ამ ბოლო წლებში დღითიდღე მცირდება. მათგან თითო ოროლა თუღა დარჩა. აღარა გვყავს საქართველოს ტანჯული სული, დიდი ილია, სიცოცხლეს გამოესალმენ ი. გოგებაშვილი, ცხვედაძე, ლოლობერიძე და დღეს განისვენა ერთმა თვალსაჩინომაც მათ შორის—ანტონ ფურცელაძემ. დიდია განსვენებულის ღვაწლი, აურაცხელია მისი ნაშრომი, ასე ადვილათ მისი საქმენი არ დაფასდება. ანტონი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა იმ დროს, როდესაც მცირედ ჯგუფს ყოველგვარ, საზოგადო საქმეში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. ჯერ დღესაც არ მომხდარა ჩვენში ისეთი დიფერენციაცია, რომ თითოეული განსაზღვრულ, ერთს რომელიმე საქმეს უწევდეს ხელმძღვანელობას, მარტოოდენ მას სწირავდეს თავის ძალღონეს. და თუ ასეა დღეს, რაღა უნდა ყოფილიყო ორმოცდაათი წლის წინათ, როცა საქვეყნო მუშათა რიცხვი თითებზე დაითვლებოდა.

ანტონი მხურვალე მონაწილეობას იღებს კერესელიძის „ცისკარში“, ათავსებს იქ კრიტიკულსა და საპოლემიკო წერილებს, სწერს ლექსებს. შემდეგ მას ვხედავთ სხვადასხვა ფსევდონიმით „მნათობში“, „იმედში“; სწერდა აგრეთვე გაზეთ „ივერიაში“ და თფილისის რუსულს პერიოდულ გამოცემებში. მის კალამს ეკუთნის ბელეტრისტიული ნაწარმოები „მაცხვიტია“, პოემები: „თამარ-ლაზნეული“, „მარაბდა“, „ბაგრატიონთა დიდება“, „ცისკარა“; დრამატიული ნაწარმოები: „ყაზახები“, „ასული ისრაელისა“, „დიდი მოურავი“. განსვენებულს მიუძღვის განსაკუთრებული ღვაწლი საქართველოს მეჩვიდმეტე საუკუნის გმირის გიორგი სააკაძის პიროვნების გაშუქებაში. ამ შესანიშნავი გმირის გარშემო შეიქმნა ლეგენდები—თითქოს მას სამშობლოსთვის ეღალატოს, საქართველოში სპარსელების ჯარი შემოეყვანოს, ქართლ-კახელებსა და იმერლებს შორის ომი გაეჩაღებიოს და, ვინ იცის კიდევ რამდენს ასეთ რასმე არ მოჰყოლია.შურით დაბრმავებული მტრობა. ანტონ ფურცელაძემ მიყო ხელი ამ საბედისწერო ხანის გამოკვლევას და აღმოჩნდა, რომ დიდი მოურავი იმ დროში ერთადერთი კაცი ყოფილა, რომელიც თავის ბუმბერაზულ არსებაში ატარებდა ფეოდალიზმის შემუსვრისა და საქართველოს გაერთიანების სურვილს. მან სამჯერ იხსნა საქართველო შაჰაბაზის ჯოჯოხეთური პლანის განხორციელებიდან. ეს პლანი მოსპობას უქადდა ქართველობას. დიახ, დიდი და საყურადღებო გამოკვლევაა განსვენებულის შრომა—„ბრძოლა საქართველოს მოსასპობლათ, ანუ გიორგი სააკაძე და მისი დრო“. მაგრამ რომელი ერთი აღვნიშნოთ მისი ნაშრომისა თამამათ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ამ სამოცი წლის განმავლობაში არ ყოფილა არცერთი დიდი საზოგადო საქმე, მწერლობა, ბანკი, თეატრი, თუ სხვა რამე, რომ განსვენებულს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღო.

საგიმნასტიკო ვარჯიშობის დროს სამხედრო ლიცეიში კიბიდან გადმოვარდა და ფეხი მოსტყდა. ამან გადასწყვიტა მისი ბედი:—იძულებული იყო ლიცეისთვის თავი დაენებებია. იგი შეუდგა თვით განვითარებას და ჩვენ ვხედავთ, რომ პირადი ენერგიითა და შრომის წყალობით ანტონი ერთი საკმაოთ განვითარებული კაცი იყო ჩვენში. შესწავლილი ქონდა ეკონომიური ფინანსიური მეცნიერება და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდი დაუღგრომელ მუშაობაში იყო. ჩვენმა საზოგადოებრივობის მკვლევარმა, აწ განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ ცალკე მონოგრაფია უძღვნა მას და ღირსეული ადგილიც მიუჩინა ქართველ მესამოცეთა შორის. მომავალი მკვლევარნიც ვერ აუვლიან გვერდს ამ პიროვნებას, როცა ჩვენი ახლო წარსულის განხილვას შეუდგებიან. ცხადია, ქართველობამ დიდი კაცი დაკარგა. მოკვდა ანტონ ფურცელაძე, მაგრამ უკვდავია ის ამაგი, რომელიც მან სამშობლო ქვეყანას დასდვა. სხვა მესამოციანებთან ერთად იგიც იცოცხლებს ქართველი ხალხის გულში.

## „ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე!“

**წიხ. გაზ. „ერი“-ს მე-4 №**

მე მოგახსენეთ: „ისარის“ ჯგუფი და თვით ის, რომელიც შურისძიების ღმერთსაც კი იწვევდა გამწარებული, ამ დიდ დანაშაულს საერო ცოდვათ სთვლიდენ, მთელს ერს აკისრებდენ ამ უცნაურ ბოროტმოქმედებას.

და თითქო იმ ანდაზისა არ იყოს—

„პილპილი თუ არ გიჭამია, ენა რათ გეწვისო“—ჩვენი „დასელები“ გაუმკლავდენ ამ გულის სიღრმიდან გადმონახეთქ სინანულს მთელი შეგნებული ქართველობისას, განურჩევლათ მიმართულებისა, და დაიწყეს ჯამბაზობა და მოლაყზე გადასვლ-გადმოსვლა, ათასგვარი დემაგოგიური სიყალბის მოჩმახვა: „ილიას სახელით ბოროტათ სარგებლობენ, მონარქისტ-,,პოგრომშჩიკები,“ უბრალოთ ავტონომისტები და ისარისებური „სოციალისტები,“ კლასობრივი, პარტიული თუ პირადი ანგარიშის გასასწორებლათო,“ და სხვა ჩვეულებრივი გულის ასარევათ მოსაწყენი ერთი და იგივე ლექსიკონი ფრაზებისა. გავიდა ერთ თვეზე მეტი და დაიძრა ბელადი დასელებისა, რომელმაც, რასაკვირველია, „დასის“ დაცვა იდვა თავს. და უნდა მოგახსენოთ, უტიფარი წერილი დასწერა და თავისი ჩვეულებრივი ჯამბაზობა უმაღლესს წერტილამდი მიყვანა, თუმც, ჩვენის აზრით, ამ წერილისთვის მას ისტორია მადლობას არ ეტყვის, და ღირსეულ სახელსაც უწოდებს. წერილს „ბნელი ძალები“ ერქვა და, რასაკვირველია, ეს „ბნელი ძალები“ ისინი იყვენ, ვინც ილიას უბედურება საქართველოს უბედურებათ და საშიშარ სიმპტომათ მიიღო. ჯერ ერთი რეაქციას გადააბრალა ილიას მოკვლა. „პარტიზანული გამოსვლა,“ ტერორი, პირადი „აჯანყება“ ხდება მაშინ, როცა მასის გამოსვლა იშვიათია, რევოლუცია სუსტია, რეაქცია გამძვინვარებულია და ხალხს სულს უხუთავს.. ცხადია, ილიას, როგორც მაგ. გერცენ-შტეინის მოკვლას, ნიადაგი მოუმზადა არა რევოლუციამ, არა ს. დ., არამედ რეაქციამ. . ამ წილადობილასაც რომ დავეთანხმოთ და დავიჯეროთ, რომ ტერორი მარტო რეაქციის დროს ხდებოდა და რევოლუციის უმწვერვალესს დროში იგი არა ხდებოდაო, ეს მაინც კიდევ არ გვიმტკიცებს იმას, რომ რეაქციას თავისი გავლენა არ მოეხდინოს ს. დ.-ტებთა ზოგიერთ ჭკუა და გონება დაბნეულზე და სწორეთ ამ დროს, რაკი პოლიციელების ხელის ხლება საშიშარი იყო, ილიას არ მივარდნოდენ.

მაგრამ იქვე წერილში ნათქვამია, „რომ სწორეთ რევოლუციის დროს ხდება ექსცესები, იმიტომ, რომ ,,სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც სცვივა;‘‘ რომ დიდებულმა რევოლუციამ სიკვდილით დასაჯა დიდებული ქიმიკოსი ლავუაზიე. მაგრამ ამიტომ თვით რევოლუცია არავის დაუგმია, გარდა რეაქციონერებისა.‘‘ მოყავს ანალოგია ილიასა და ერთი დამსჯელი რაზმის უფროსის ლუჟანოვსკის მოკვლის შორის. „1905-ში გამოჩენილმა რუსის მწერალმა კოროლენკომ გამოამჟღავნაო ლუჟანოვსკის საარაკო მხეცობა და სისასტიკე. მან აიკლო რამდენიმე სოფელი და ამასთან იმისთანა სისასტიკეც კი გამოიჩინა, რომ მალიუტა სკურატოვსაც კი გადააჭარბაო. ცოტა ხანს შემდეგ ლუჟანოვსკი მოკლეს, რეაქციონურმა პრესამ კოროლენკოს მოახვია ეს მკვლელობაო.“ ფ. მ. ექომაგება, თუ ,,მოგზაური‘‘ გავამტყუნეთ, ეს პრესის თავისუფლების გაუქმება იქნებაო... ჩვენ გვაბრალებენ ჩვენი მოღვაწეები: „ხალხის პირად მტრათ გამოგყავდათ და ბრბოს უსისინებდენ—კა მაგათო, და მარტო ერთი საბუთი მოყავთ ამისი განსვენებული ილიაო“ (ბ ნ. ჟ. ასეთს ტრაგედიულ წუთშიაც კი ვერ გაიმეტა ილიას სახელისთვის მეტი ეპიტეტი ,,განსვენებული‘‘ ,,განსვენებული‘‘-თითქო განსვენებული ყოველი მომაკვდავის, თვით ლუჟანოვსკის შესახებაც არ იხმარება, სიკვდილს—შემდეგაც ვერ გამოიმეტა ღვარძლით ავსილმა გულმა ერთი განსაკუთრებული ეპიტეტი ილიასთვის). „ნუთუ ჭკუაში მყოფელ კაცს შეუძლიაო ილიას მკვლელობა დაუკავშიროს ,,მგზაურის‘‘ ცნობილ მწერალს, როცა ,,მოგზაურის‘‘ წერილსა და ილიას მკვლელობის შორის რამდენიმე წელიწადი გავიდაო.‘‘ თუ დაუკვირდებით ამ წერილს ნახავთ, რომ ბ. ნ. ჟ. სცდილობს ილიას ვერაგულათ მოკვლა ახსნას და სრულიადაც არა სცდილობს გამოარკვიოს—რა ნიადაგზე მოხდა და რაგვარი სიმპტომია ეს მოვლენა ჩვენის ერის ცხოვრებაში; ,,სადაც ხე იჭრება, იქ ნაფოტებიც სცვივაო‘‘. ბატონო, და თუ ილია ნაფოტია, რაღა უნდა იყოს ბ. ნ. ჟ. და კიდევ მეტი ბ. ფ. მახარაძე?

გარდა ამისა ილიას მოკვლა არ გახლდათ ნაფოტის ცვენა. ეს დიდი ისტორიული მოვლენა იყო, რომელსაც ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამას კი ყოველთვის გაურბოდენ დასელები მათი ბელადითურთ. და ყოვლად შეუწყნარებელი მათ მოქმედებაში ის არის, რომ აბუჩათ იგდებდენ ამ მოვლენას და სასაცილოთ არ ყოფნიდათ ის, ვინც ამას სერიოზულათ უცქეროდა. რა ვუყოთ მერე ლავუაზიეც მოკლეს. ხეს სჭრიან, ნაფოტი სცვივა, რა ვუყოთ მერე გერცენშტეინი მოკლეს, მაგრამ ამისთვის რევოლუციას არავინ გმობსო.

ნამდვილი მოლაყიაა ასეთი პასუხი: სად რევოლუციის გმობა და სად ილია ჭავჭავაძის მოკვლა. დიადი ხალხის მოძრაობა ერთსაც არ წამოცდენია, და თუ უსათუოთ ერთ სასწორზე უნდა იქნეს დასმული ხალხის განახლების ეპოქა და ილია ჭავჭავაძის სიკვდილი, უთუოთ ყველა დასელებისგან ყბათ ამოღებული „ბურჟუა-ფეოდალები“ თამამათ იტყვიან, რომ, მიუხედავათ ასეთი საეროვნო უბედურებისა, იგი მოძრაობა მიუცილებელი იყო ხალხის, თვით ჩვენი ერის ცხოვრების გასაახლებლათ და ასაღორძინებლათ, მაგრამ თანაც ყოველი ჭკუათა მყოფელი კაცი იტყვის, რომ რევოლუცია ეს მთელი საზოგადოების შემარყეველი მოვლენაა და მის დროს გამოიცნობა მრავალი სენი დაავათმყოფებულის ორგანიზმისა. ამ საშინელმა კატასტროფამაც გვამცნო ის, რაც აღიარა ერთმა ავტორმა თვით დასელების გაზეთ „ჩვენ გზაში“ იმავე წელიწადში. ჩვენი უკულტურობაა ის, რომ ჩვენ გადაშენების გზაზე ვდგავართ. საეროვნო იდეალების უარყოფამ, რომელმაც ფანატიკური ხასიათი მიიღო, უცნაური შედეგი იქონია და ეროვნულის გენიოსის მოსპობით დასრულდა. ამგვარი ატმოსფერის შექმნას ხელს უწყობდენ განსაკუთრებით „მოგზაური“ და მისი ჯგუფი, მათი ბელადი, აწ ჩვენს ისტორიაში დაუვიწყარი იუდა ფილიპე მახარაძე.

რა შესადარებელია ლავუაზიესა და ილიას სიკვდილი? ლავუაზიე მეცნიერი იყო, რომლის ღვაწლიც ორიოდე კაცმა თუ იცოდა; ლავუაზიე გაასამართლეს—რა ფორმითაც უნდა ყოფილიყო ეს გასამართლება—ილია კი, ეს დიდებული მწერალი „გლახის ნაამბობის“ ავტორი, პირველი მოციქული ჩვენში კლასთა ბრძოლისა, როგორც აღიარა თვით ერთმა დასელმა (ბ. კარლო ჩხეიძემ) ილიას ცხედრის წინაშე, მოკლეს ჩუმათ ავაზაკურათ, ყოველივე გასამართლების გარეშე.

აბა, ჯამბაზის მეტი იკადრებს ილიასა და ლუჟანოვსკის სიკვდილის შედარებას! ჯამბაზობის გარდა აქ „დასელების“ ტერმინოლოგია და მათი საყვარელი ლექსიკონი რომ ვიხმაროთ, პროვოკაციაც გახლავთ. აბა, რა უნდა ვსთქვათ, რომ სავსებით დავამსხვრიოთ ეს შედარება: შეგვიძლია კოროლენკოს მოქალაქობრივი მოქმედება შევადაროთ ფ. მახარაძის გაბოროტებულ სიგიჟეს. შესაძლებელია შეადაროს კაცმა რაიმე მხრით მკვლელი ლუჟანოვსკისა და ილიასი. ეს ჩვეულებრივი ხრიკია დასელთა ბელადის, რომ იმგვარი შედარებები მოიყვანოს, რომ ძალაუნებურათ პირში ბურთი ჩაეჩრას ვერ იტყვი პასუხს, იმიტომ, რომ ეს ყოვლად მოუხერხებელია დღევანდელი ცენზურის პირობებში, და თვით ასეთი ანალოგიის გატარება ილიასა და ლუჟანოვსკის, ფ. მახარაძისა და კოროლენკოს შუა და ილიას მკვლელებისა და ლუჟანოვსკის მკვლელის შუა არის შეურაცხყოფა ილიასი, კიდევ ერთი სილა, კიდევ ერთი „ნერწყვიდეს პირსა მისსა“, რომელსაც არა სტოვებენ არაოდეს დასელთა სულის ჩამდგმელნი.

ამგვარათ ბ. ნ. ჟ. წერილმა ვერაფერი ვერ ახსნა და ვერ გაამართლა, ლობე-ყორეს მოედვა და ისეთ მაგალითებს მოკიდა ხელი, რომელსაც ილიას მკვლელობასთან საერთო არა აქვს რა.

დასელებმა კი განგაში მორთეს, კაცმა არ იცის რისთვის? არ გაბედოთ და ილიას მკვლელობა საეროვნო დანაშაულათ არ ჩასთვალოთ, რა ვუყოთ „ხე იჭრება, ნაფოტი სცვივა“. თქვენ დემაგოგიურ ხერხათ გინდათ გამოიყენოთ ეს სიკვდილი და პარტიას აბრალითო. ერთ კაცს კი არ უთქვამს, არც უკისრია, რომ ამას პარტიას ვაბრალითო.

თვით უსასტიკესი ბრალდება, რომელიც იყო წამოყენებული ეკუთნის ბ. მ. ად—ლის და დასტამბული იყო „ისრის“ № 222-ში:

„**ს. დ. პარტიას, როგორც ერთეულს, ილიას სიკვდილში ბრალი არ უდევს. ჩვენ ვამბობდით, და ახლა უფრო მკაფიოთ ვიმეორებთ, რომ ს. დ. ბელადებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა ისეთი ფსიხიური ატმოსფერა შექმნეს ილია ჭავჭავაძის შესახებ, რომ ერთი ნაწილი ს. დ. ხმამაღლა და გულწრფელათ თანაუგრძნობდა ილიას მოკვლას, მეორე ნაწილი გულგრილათ დაუხვდა მას, და მხოლოდ უმცირესობა, სულ რამდენიმე კაცი, აღშფოთა ამ საზიზღრობამ.**

თავის დღეში კაცს არ შეეძლო ეთქვა ან წარმოედგინა, რომ დასელებმა, მთელმა პარტიამ მოკლა ილიაო. პარტიასა ყავს თავის ორგანოები, წარმომადგენლები, ბოლოს მთელი პარტიის რეფერენდუმი. უეჭველია, რომ არცერთი ეს საფეხური ილიას მოკვლის საკითხს ოფიციალურათ არ გაუვლია და არსად ეს საკითხი გადაწყვეტილი არ ყოფილა. შესაძლებელია, და მრავალი საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მთავარ კომიტეტს, რომ მოენდომებია ეს საქმე, არ მოხდებოდა. მას, რომ თავისი ავტორიტეტულის კილოთი ებძანებია, ილიას ხელს ვინც ახლებს, მას ჩვენთან ექნება საქმეო, ეს საქმე არ მოხდებოდა. უეჭველია, ჩვენი ერი ამ საშვილიშვილო ცოდვიდან თავისუფალი იქნებოდა. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს მას, რომ მთელი პარტია ვისმე დანაშაულათ მიაჩნდეს, ხოლო ისეთი დანაშაული კი როგორც მთავარ კომიტეტს, ყველას ჩვენ მიგვიძლვის. საკმაო იყო, რომელიმე ჯგუფს ხმა ამოეღო და ეთქვა ილიას ხელი არ შეახოთ, თვარა ჩვენთან გექნებათ საქმეო, ამას ვერავინ გაბედავდა, ხოლო მთავარ კომიტეტს იმით უფრო მეტი ბრალი ედება, რომ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ მისი წევრების ყურამდი უნდა მიეწია ამბავს იმისას, რომ ილიას უპირებენ მოკვლას. ილიას მოკვლა სისტემატიურათ მზადდებოდა ორი წლის განმავლობაში. ჯერ ხომ მოუკლეს მოურავი, უკვე ეს იყო, ასე ვსთქვათ, პირველი გაფრთხილება, პირველი სიგნალი. იმ პარტიას, რომელიც ქვეყნის მოვლა-ბატონობის უნარს მარტო იჩემებს, მარტო თავის თავს რაცხს ამ როლის ღირსათ უნდა გამოეჩინა საკმაო წინდა-

# დღიური.

ბულგარეთში დინასტიის საწინააღმდეგო მოძრაობა ძლიერდება.

— პარიზში კოკოვცოვმა სომხეთა კომიტეტის თავჯდომარე ინახულა.

— კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება 17 ნოემბერს მოხდება.

— ბაქოში სომხეთა შკოლის ფონდისათვის 45,900 მანეთი შეაგროვეს.

— კავკასიის მეფის მოადგილის განკარგულებით ზელიმხანის ოჯახს ხაზინიდან დახმარების მიცემა შეუწყვიტეს.

— ხარკოვის უნივერსიტეტის მედიკურ ფაკულტეტზე [illegible] სტუდენტები გაიფიცენ[illegible]

— ბეილისს [illegible] უთქვამს—ჩემი სურვილი იყო რუსეთში დარჩენა, მაგრამ, შიშის გამო, რუსეთიდან მივდივარ, ვინაიდან მუქარის წერილები ხშირათ მომდისო.

— ხმა გავრცელდა კოკოვცოვი სამსახურიდან გადის და მის ადგილზე პ. დურნოვოს ნიშნვენო.

# აბაშელის პოეზია.

**ცოტა რამ ხელოვნური შემოქმედების შესახებ.**

(დასასრული, იხ. „ერი“ მე-2 №).

პოეტი მოგვითხრობს თავის სულზე („ჩემი სული“), რომ იგი „ფრთებს რომ გაშლის, მე ძირს მტოვებს, თვით **ცის მკერდზე იწყებს** ქროლას, შორით ვუსმენ კვნესა-ღაღადს, **შორით ვუმზერ სასტიკ ბრძოლას**“. მაშ იგი ზეცისაკენ, ამ უკვდავების სიმბოლოსაკენ მიილტვის, და სასტიკათ იბრძვის მის მისაწევათ. მეორე ადგილას პოეტი მიმართავს მზეს: („მზის წიაღში“): „მზევ სხივმნათო, შენსკენ მოვეჩქარები; შენს გულმკერდზე მსურს ავაწყო სიმები, მეც ტოროლას ფრენით დავედარები, რომ ტკბილ ხმებში ჩავაწვიმო სხივები“. თქვენ ხედავთ, რომ პოეტის სული მზისაკენ ფრენს, რათა მის გულმკერდზე ააწყოს მან თვისი ჩანგის სიმები:

მაგრამ, როგორც ჩვეულებრივი ადამიანის სულსაც, პოეტსაც უხდება სიკვდილის შავ აჩრდილთან სასტიკი ბრძოლა (იხ. ,,თეთრი ფრინველი‘‘, ,,მზის წიაღში“), ხოლო ბედი ამ ბრძოლისა სხვა მიმართულებას იღებს, ,,ცეცხლით ნაჭედი ოქროს ნავით‘‘ პოეტი თანდათან უახლოვდება მზის ცხოველმყოფელ კოცნას, ,,შავი აჩრდილი კი თან მომდევს აღარ მშორდება, სამოსს მიკოცნის, მზეს ემალვის შეშინებული დედამიწასა და ჩემს შორის სიმად გაება, უკან მეძახის ბოროტ ზრახვით აღტყინებული‘‘, მაგრამ მისი ძახილი გამოძახილს ველარ პოულობს, და პოეტიც ახლა უკვე თავისუფლათ შესრიალდება ცეცხლის მორევში ,,ხელებგაშლილი‘‘.

,,მარადისობის ვიგრძენ ძალა და უკვდავება... გასწყდა მიწისა შავი სიმი, გაქრა აჩრდილი!..

— მსოფლიოში გამეფებული სიკვდილის ბრმა ცელს ებრძვის სიცოცხლე, მას განწირული ეომება ადამიანის სული, მაგრამ სიკვდილის ბატონობის სიმაგრეს ვერ ანგრევს მათი ძლიერი იერიში. მხოლოდ ძლიერი სულის ლტოლვა შემოქმედისა ამსხვრევს სიკვდილის ანგელოზის შავ ფრთებს და ეზიარება უკვდავების დაუშრეტელ წყაროს.

— ამგვარათ პოეტის სულისთვის შესაძლებელი ხდება ის, რაც შეუძლებელი იყო მთელი არსებული მსოფლიოსათვის.

არსებობას ამ გზით ებადება აზრი და მიზანი; იგი აღარ არის უიმედობის ნისლით მოცული საკანი, იგი აღარ არის უცაბედი სხვერპლი სიკვდილის შემხუთველი ცივი ხელებისა.

აბაშელის პოეზიას ამგვარათ ოპტიმისტური ბეჭედი აზის; მას სწამს, რომ შემოქმედებით აღმაფრენის ჟამს ხელოვანის სული მარადიულის სამყაროს ესტუმრება და იზიარებს მის უკვდავებას; იგი თვით ხდება მარადიული და უკვდავი.

,,სული სცოცხლობს, უკვდავია, მხოლოდ ფერფლი დაიმარხა, ვით მოკვდება, ვინც სამოთხის აღმაფრენი სახე ნახა, ვინც სულისა კვეთებაში უკვდავება გამოსახა‘‘-ო, ამბობს ჩვენი მგოსანი და ამით შორს სცილდება ყველა იმ მხატვართ, რომელთაც სულის ტიტანიური ლტოლვა მარადიულისაკენ საუკუნოთ განუხორციელებელ სწრაფვათ მიაჩნიათ.

მაგრამ მეორე მხრით ჩვენ ვიცით, რომ პესიმისტური აზროვნების ისტორიამ იცის ზოგი ისეთი მაგალითი, როდესაც ხელოვნებას ისეთი ძალის განსაკუთრებულ როლს ანიჭებენ, რომელსაც მუდმივის, ძირითადი ტანჯვის დროებითი ალკვეთა მაინც შეუძლია. ასეთი არის მაგალ. აზროვნება შოპენჰაუერისა, ამ პესიმიზმის საუკეთესო მოძღვრისა. ხოლო მისთვის ასეთ როლს ხელოვნური ნაწარმოებით ტკბობა, ესთეტიური ჭვრეტა ასრულებს, მაშინ როდესაც აბაშელისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა თვით შემოქმედების აღმაფრენის ჟამს გამოაშკარავებულს სულის სწრაფვას აქვს.

მაგრამ როგორ აქვს ჩვენს პოეტს წარმოდგენილი ეს შემოქმედი სულის მიერ მიწეული უკვდავება? მზის მოელვარე წიაღს რომ შეუერთდება შემოქმედის სული, რა მოაქვს მას დროულსა და შემოლუდულ დედამიწაზე? სიოს აძლევს იგი ჩვეულებრივი ადამიანის სულს?

აშკარაა, რომ ხელოვანი იმ ნაწილს უკვდავებისას, რომელსაც იგი მზის წიაღში იზიარებს, ხელოვნური ნაწარმოების სახით უვლინებს დედამიწას. და აბაშელიც სწორეთ ასე სჭირს ჩვენს საკითხს. იგი მიმართავს მეგობარს („რომანსი“) და ეუბნება, რომ მას გაუქრობელი ცეცხლის ალით სურს მისი სურათის დახატვა და შიგ მისი სულის „ფარული ლოცვის“ ჩასახვა, და, როდესაც დრო გაივლის, აწმყოს რვეულს ქარს გაატანს ბედის წერა,—ვერავინ სძლევს ჟამთა სრბოლას,—სიკვდილის ცელს ვინ ასცდება? მაგრამ როცა ლექსის ნაკადს ააჩქეფებს სიმთა ჟღერა, **განახლებულ ხმათა ჰანგში შენი სულიც გამოკრთება**“.

მაშ ხელოვნური ნაწარმოები გარდალახავს დროსა და სივრცეს, იგი თავიდან იცილებს სიკვდილის ცელს და დროს გარე მყოფის მარადიულის სახეს იღებს; იგი ამ სახით უკვდავია და, მაშასადამე, მარადიული და აბსოლუტური. უკვდავია პოეტის სულიც, რომელმაც ეს მარადიული სახე ხელოვნურ ნაწარმოებში ჩამოასხა და ქვეყანას მოუვლინა. „სული სცოცხლობს უკვდავია, მხოლოდ ფერფლი დაიმარხა, ვით მოკვდება ვინც სამოთხის აღმაფრენი სახე ნახა, ვინც სულისა კვეთებაში უკვდავება გამოსახა?“

ასეთია აბაშელის პოეზიის მოტივები.

მე ნებას ვაძლევ ჩემს თავს ერთხელ კიდევ გავიმეორო ის დებულებანი, რომელთა გამოხატულობასა და შედეგსაც ჩვენი მგოსნის შემოქმედება წარმოადგენს,

სამყაროში ორი პრინციპია ჩამარხული: პრინციპი სიცოცხლისა და სიკვდილისა. მათ შორის ბრძოლაა სამკვდრო-სასიცოცხლო. ხოლო ამ ბრძოლაში მუდამ სიკვდილი რჩება გამარჯვებული. მაგრამ აქვე ადამიანის არსებაში დასადგურებული სული პროტესტებს უცხადებს სიკვდილის მეუფებას და შეუპოვრათ უკვდავებისაკენ ილტვის. იგიც უძლური აღმოჩნდება. სამაგიეროთ შემოქმედი ხელოვანის სული სიკვდილთან ბრძოლაში იმარჯვებს და უკვდავებას აწევს. იგი ამკვიდრებს დედამიწაზე მარადიულ ფორმებს ხელოვნური ნაწარმოების სახით და ამგვარათ თვით ხდება უკვდავი.

III.

მაგრამ ყველა ეს დებულება დეკლარაციული ხასიათის არის, იგი შესაძლებელია ჩვენთვის იმდენათ იყოს საინტერესო, რამდენათაც იგი მგოსნის მსოფლმხედველობას ახასიათებს. მაგრამ სხვისი მსოფლმხედველობის გაცნობას ყოველთვის ერთი და იგივე ფასი როდი აქვს. საინტერესოა იგი მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ მსოფლმხედველობის მატარებელს საკმარისი საბუთები აქვს მის გასამართლებლათ, მის დასამტკიცებლათ. უარგუმენტაციო შეხედულება კი არავისთვის არ არის საინტერესო და საყურადღებო. და მაშასადამე უადგილო უნდა იყოს ხელოვნური ნაწარმოების გარჩევის დროს ავტორის აზრთა და შეხედულებათა გამოაშკარავების ცდა, ვინაიდან არგუმენტაცია ლოღიკური აზროვნების საქმეა, და ხელოვნური ნაწარმოები მშრალს ლოღიკურ მჯელობას დაშორებული უნდა იყოს. თუ ხელოვნურ ნაწარმოებში ლოღიკური მსჯელობა სჭარბობს, მაშინ იგი ხომ ყველგან უვარგისათ არის მიჩნეული, და მისი ადგილს ხელოვნების სფეროში კი არა, მეცნიერების ან ფილოსოფიის საზღვრებში აქცევენ.

მაგრამ საკმარისია თვალი გადაავლოთ დღემდი არსებულ ხელოვნების კრიტიკას, რათა იმ წამსვე დარწმუნდეთ, რომ ყოველი ხელოვნური ნაწარმოების შეფასების დროს ყოველთვის მისი ავტორის ფარულ აზრსა და შეხედულებას იკვლევენ. აიღეთ კრიტიკული განხილვა რომელიმე მგოსნის ნაწარმოებისა და თქვენ დაინახავთ, რომ მე არ ვსცდები.

რათ ხდება ეს? თუ უარგუმენტაციო დებულებათა ფასი არ აქვს, და ხელოვნურ ნაწარმოებში ლოღიკურათ დასაბუთებულ დებულებათა წამოყენება შეუძლებელიც არის და არა სასურველიც, მაშინ მთელი დღემდი არსებული გარჩევა ხელოვნურ ნაწარმოებთა უნაყოფო და ფუჭი შეუგნებლობის შედეგი ყოფილა.

მაგრამ, საბედნიეროთ, ეს ასე არ არის.

ადამიანის ინსტინკტი არა დროს არ სცდება, ასეთი ინსტინკტია უღრესათ, რომელიც ნიჭიერისა და გენიალური ადამიანის მოქმედებას სარჩულათა და გზის მაჩვენებლათ უხდება. დღემდი არსებული კრიტიკოსნიც სწორეთ ამ ინსტინკტით ხელმძღვანელობდენ, როდესაც ხელოვნური ნაწარმოების განხილვის დროს მასში გამოსახულ ავტორის შეხედულებას იკვლევდენ. თორემ იგინი რომ თვის შეგნებას გაყოლოდენ, იმ შემთხვევაში ასეთი დაწყებულება შეუძლებელი იქნებოდა. მართალია, იგინი ანგარიშს აძლევდენ თავის თავს, თუ რათ ეძიებდენ ხელოვნურ ნაწარმოებში მისი ავტორის მსოფლმხედველობას, თუ განსაზღვრულ შეხედულებას ამა თუ იმ საგანზე, ან მოვლენაზე, მაგრამ მათი განსაზღვრა ამ გარემოებისა ვერ

ხელდულება და საშიში სიმტომისთვის ყურადღება მიექცია... მაგრამ ეს არ ამართლებს სხვა ჯგუფთა შორსმჭვრეტელობას, მათ ერთგულებას ილიასადმი. მათ უფრო უნდა ეგრძნოთ მომავალი უბედურება და გაბედულად შიელოთ ილია თავის მფარველობაში. აქ დაუდევრობაა დაუდევრობა, რომელიც ბოროტმოქმედების განუყრელი თანამოზიარეა.

ატმოსფერა შექმნეს ბედადებმა, აგიტატორებმა და პროპაგანდისტებმა, ატმოსფერა საბედისწერო. ეს დაურღვეველი ჭეშმარიტებაა.

ვინ დასწვა ილიას ნაწარმოებები თფილისსა და ბათომში საჯაროთ, ვინ ჩაიდინა ეს უსაშინელესი ბარბაროსობა?

არა კმარა ეს საბუთად იმისა, რომ არათუ ატმოსფერა, ზნეობრივათ უკვე მოკლეს ილია მოქმედებით.

ილიას თხზულებიდან დასტამბულია მხოლოდ მისი პოეტური ნაწარმოები, ის, რომლის შესახებაც ერთი კრიტიკის დაბერვაც არ შეუძლია ფ. მახარაძის მეტს არცერთ გიჟს, და მაშასადამე, თუ კი ეს მოიქმედეს, უკვე არ ჩაიდინეს თვით უსაშინლესი მკვლელობა, ვინაიდან კოცონი აღუგეს მის სულის განძს, მისი სულიერ დიდებას.

ატმოსფერა არ შექმნა ფ. მახარაძემ და მისმა ამყოლმა, როცა ილია მონათლა ,,სისტემატიურ ჯაშუშათ, რომელსაც ჯაშუშობა ზედ მიწევნით აქვს შესწავლილი.

რომ ერთი ჯგუფი ს. დ ხმამაღლა აცხადებდა თანაგრძნობას ილიას მოკვლისას, ამის უტყუარი საბუთები ხელში გვიჭირავს. ყველაზე საყურადღებო კი ი. ევდოშვილის ზემოხსენებული წერილია. გარდა ამისა სისტემატიური განდევნილობა დასელების სხვადასხვა ჯგუფის თვით ამ საშინელი ტრაგედიის დროს დაევიწყებიათ თავისი გაბოროტება. მთელი რიგი დასელი მუშებისა, სტუდენტებისა, სხვადასხვა დარგის მოსამსახურეებისა არ ესწრება ილიას დასაფლავებას. დეპეშები ხაზის გასმით: ,,ყვირილის ქართველ მუშათა ჯგუფი'' ,,მეტეხის ციხის პატიმართა ერთი ნაწილის, ქუთაისის აქიმთა ჯგუფი და სხ. აწერია დეპეშას, გავს, პირდაპირ მოსთხოვეს ამ ჯგუფს აღენიშნათ, რომ არა ყველა აგზავნის სამძიმრის დეპეშას.

ერთერთ უნივერსიტეტის სტუდენტობიდან მთელმა ჯგუფმა თითქმის 27 დასელმა სტუდენტმა უარი განაცხადა:

,,მწუხარებას ვერ გამოვსთქვამთ ილიას მოკვლის გამო, ვინაიდან ეგ რევოლუციონური აქტი იყოვო'' და სხვა.

მაშასადამე ყოველივე ბრალდება სავსებით დამტკიცებული იყო. მთელ პარტიას არავინ არაფერს აბრალებდა. ერთ ნაწილს რასაც აბრალებდნენ—ყოველი ეშეურყევლათ დამტკიცებულია. ეს ნაწილი სცდილობს—ის რასაც მას აბრალიან მთელ პარტიაზე გადაიტანოს და ჩაითრიოს ამ საქმეში ყველანი: სისხლი მაგისი ჩვენზედა და შვილთა ჩვენთა ზედა''-ო გაყვირიან.

ერთი პილატეთაგანი.

## ახალი ამბავი.

გუშინ ქუთაისში სამწუხარო დეპეში მოვიდა, რომელმაც თვალსაჩინო მესამოციან წლების საზოგადო მოღვაწის, ანტონ ფურცელაძის გადაცვალების ამბავი მოიტანა.

✦ ხარკოვის გაზეთ „უტროში" დეპუტატი ვარლამ გელოვანის შემდეგი წერილია მოთავსებული: „ამ ბოლო თვეებში ქუთაისის გუბერნიაში ვმოგზაურობდი დამშეულთა შესახებ ცნობების შესაკრებათ. დრო არა მქონდა თვალი მედევნებია გაზეთებისათვის. სხვათაშორის, გურიაშიც ვიყავი. ამჟამათ პეტერბურგს მიმავალი წავაწყდი თქვენს გაზეთში მოთავსებულ ხარკოველს ქართველ სტუდენტთა საპროტესტო წერილს საზიზღარ ცილისწამების წინააღმდეგ. ,,ინკინერი—შემფასებელი'' ზელიმ-ხანის ამბავთან ერთად გურიასაც ეხება და მას ჩირქს სცხებს. გაუგებარია და მასთან აუხსნელიც სამხრეთ კავკასიის, სადაც ზელიმხანი მოქმედებდა, და შავი ზღვის მხრის ერთმანეთში არევა. ასეთი საზიზღარი ცილისწამება ხალხს შეცდომაში შეიყვანს. ძნელი წარმოსადგენია, რომ ფაქტები ასე დაამახინჯოს ინტელიგენტმა ადამიანმა. სირცხვილი მას!

ვსთხოვ პატივცემულ რედაქციას ჩემ თანამემამულე სტუდენტთა პროტესტს ჩემი პროტესტიც შეუერთოს".

თუ რამ გამოიწვია დეპუტატის ხსენებული წერილი, ამას ჩვენი გაზეთის დღევანდელ ნუმერში მოთავსებული წერილიდან ამოიკითხავთ.—„წერილი ხარკოვიდან''.

✦ თფილისის სამხედრო სასამართლოს სესია ქუთაისს 2 დეკემბერს ჩამოვა.

✦ 3 ნოემბერს დაბა ზესტაფონში მოვაჭრე დ. მამულაიშვილს 8 ბოროტგამზრახველი დასხმია თავს. მამულაიშვილისთვის წაურთმევიათ 25 მანეთი და თოფების სროლით გასდგომიან გზას. დასდევნებია პოლიცია, მაგრამ ჯერჯერობით ბოროტგამზრახველთა კვალისთვის ვერ მიუგნიათ.

✦ იბეჭდება და მალე გამოვა წიგნი: ,,ნიკოლოზ ბესარიონისძე დოლობერიძე და ქართული სტამბა 1627—1913 წლამდი.'' წიგნში ვრცლათ იქნება ახსნილი ქართული სტამბის დაარსება ვენეციაში (იტალია) 1850 წ. გ ნოთობანში (საფრანგეთში) 1878 წ. სტამბოლში—1876 წ. საქართველოში (თფილისში) 1707 წ., მოსკოვში 1737, პეტერბურგში—1781 წ., იმერეთში—1775 წ. და სხ.

✦ ჩვენ ვნახეთ მიხეილ გედევანიშვილის მიერ გამოცემული ილია ჭავჭავაძის თხზულებათა პირველი ტომი. ,,ვეფხის ტყაოსანს'' შემდეგ ეს პირველი წიგნია ქართულ ენაზე ასე სუფთად, ლამაზათ და ძვირფასათ გამოცემული.

✦ სამტრედიის ახლათ გახსნილი უმაღლესი ტიპის პირველდაწყებითი სასწავლებლის ინსპექტორათ ნ. ჩიკვაიძე დაინიშნა. იმავე სასწავლებელში ქართული ენის მასწავლებლათ დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი მიიწვიეს. როგორც გვაცნობებენ, ხსენებულ სასწავლებელში ქართულ ენას კვირაში 2 გაკვეთილის მეტი არ ქონია დათმობილი საჭიროა, სასწავლებლის ზედამხედველმა კომიტეტმა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს და ქართული ენის გაკვეთილების საჭირო რიცხვი შემოიღოს.

✦ კვირას, 3 ნოემბერს ახალ-სენაკში ავიატორ ქებურიას ფრენის დროს საფრენი მანქანა სულერთიანათ დამსხვრევია ავიატორი უვნებლათ გადარჩენილა.

✦ ავათმყოფი მგოსანი ირადიონ ევდოშვილი სოხუმს მიყავთ, სადაც მთელ ზამთარს დაყოფს.

**შეცთომის გასწორება:**

გუშინდელს მეთაურ—,,ჯვარს აცვ, ჯვარს აცვ ეგე''—შეცთომით არის დაბეჭდილი... რაც ილია ჭავჭავაძემ თავისი ნიჭითა და მოღვაწეობით შეიტანა ჩვენი საზოგადოების კულტურულ სალაროში, უნდა იყოს... ,,**კულტურულ სალაროში.**''

## სახალხო უნივერსიტეტი.

კვირას, 3 ნოემბერს თეატრ „რადიუმში ქ-ლმა შარაშიძის ასულმა წაიკითხა ლექცია შემდეგის სათაურით—„ქართველი ქალი ახალს ქართულ ლიტერატურაში: სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენ პირველათ ვხედავთ ლექტორ ქალს, რომელიც მშვენიერი ქართული ენით, მოხდენილი და საამო კილოთი აუდიტორიას ესაუბრება ქართული ლიტერატურის შესახებ. ლექცია შინაარსით სადღებო იყო. ლექტორმა მსმენელთ გააცნო ბარათაშვილის, ჭავჭავაძის, აკაკის და სხვათა შეხედულება ქართველ ქალზე.

აღნიშნა სვედის მგოსნის გოდება, რომ ძველი ქართველი დედა, რომელიც უზრდიდა მამულს შვილს, აღარა გვყავს; რომ ჩვენი დროის ქალი გადაგვარების გზაზე დგას; მოიხსენა ჭავჭავაძის უკვდავი ოთარაანთ ქვრივი, აკაკის ნინო, ქეთევან და თამარი ძველათ და მათ ნაცვლათ რომ დღეს „მაშინკები" მოგვლენია და სხვა. ლექტორი, შეეცადა ამის მიზეზი აეხსნა ცხოვრების პირობების გამოცვლით, და უნდა ვსთქვათ, რომ ამ მოვლენის ახსნა, არც ისე უსაფუძვლო იყო.

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ ქ-ნ შარაშიძის ასულს მისგან შ. არაგვისპირელის ეტიუდის—ჩემი სამშობლო ჩემი გულია—ს. განმარტებაში. აქ იგი ეტიუდის ავტორს ცალმხრივობას და მიდკომილობას სწამებს. არაგვისპირელს ქართველი ქალის ხასიათი ვერ გაუგია. ნამდვილათ კი ქალისა, და მით უფრო ქართველი ქალის სულსა და გულში, ჩემის აზრით, ისე ღრმათ არავის ჩაუხედია, როგორც არაგვისპირელს. ავტორმა შეუდარებელი ხელოვნებით გადმოგვცა ვნებით ავსილი ქალის სულისკვეთება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ აქ ერთი მომენტიაალებული—მომენტი, როცა ადამიანის არსებაში აღგზნებული ვნება ბატონობს. ამ დროს იგი ადვილათ ივიწყებს ყოველგვარ მოვალეობას და გულის თქმის მონათ ხდება. ეს მომენტი დიდი პრიქოლოგიურის სინამდვილით დახატა ავტორმა და ამისთვის ლექტორი ქალის მხრით საყვედური არ უნდა მიეღო.

საერთოდ ლექციამ ყველაზე საამო შთაბეჭდილება მოახდინა.

## დეპეშა.

(პეტ. დეპ. სააგ.)

რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** დღეით მოვიდა სპეციალურათ გამოგზავნილი მონგოლების მისია. მისიას სადგურზე მინისტრები მიეგებნენ.

**მინსკი.** პროკურორმა საჩივარი აღსძრა ქსენძი მალიშევსკისა და ექვსი კათოლიკე გლეხის წინააღმდეგ მართლმადიდებელთა ჯვარის შეურაცხყოფისათვის.

**პეტერბურგი.** გამოქვეყნდა ცნობა სხამბოლისა და მიხაილოვის არტილერიის შკოლაში [illegible] შესახებ.

**ბერლინი.** მოვიდა კოკოვცოვი მეუღლითურთ. მას თან ახლავს კრედიტის უწყების დირექტორი დავიდოვი და ფინანსის მინისტრის მდივანი.

**თეირანი.** სპარსეთის მთავრობამ სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრების შესახებ რუსეთისა და ინგლისის მიერ შემუშავებული პირობა მიიღო.

**ბერლინი.** კოკოვცოვის ჩამოსვლის გამო გაზეთები მის შესახებ ბევრს სწერენ.

**ბუქარესტი.** მოვიდა რუსეთიდან დეპუტაცია. მათ სადგურზე გარნიზონის უფროსი და რუსეთის მისიის მოხელენი მიეგებნენ.

**სტამბოლი.** პორტის მახლობელ წრეებში ამბობენ, დიდ ვეზირსა და ავსტრიის ელჩს ალბანეთის მახლობლათ სელევკაში ნავსადგურის აგების შესახებ ქონდათ მოლაპარაკებაო.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში საარჩევნო რეფორმის შესახებ მსჯელობის დროს სამაზრო კომისიამ შეიტანა წინადადება, რომ გამოირკვეს რიცხვი საარჩევნო ოლქებისა. პალატამ, 296 ხმით წინააღმდეგ 291, წინადადება მიიღო.

**ცეტინიე.** სერბიის მგოსნის პეტრე ნეგოშის დაბადებიდან ასი წლის შესრულებას ყველგან დღესასწაულობენ.

**ტოკიო.** გაზეთი „კუკურინი" სასურ, ველათ სცნობს—იაპონიამ ზოგიერთ პროვინციებს სესხი მისცეს იმ პირობით რომ ყოველ იაპონელს მიეცეს ნება ამ პროვინციებში ცხოვრებისა და მიწის შეძენისა.

**მექსიკა.** ხუერტამ განაცხადა, რომ თავის ადგილიდან არ წავა და მოსალოდნელი არეულობის გამო ეცდება—დაიცვას უცხოეთის ქვეშევრდომთა ინტერესები.

**სოფია.** ტონჩევმა თავის სიტყვაში ის აზრი გაატარა, რომ ხალხის უბედურების მიზეზი სერბიასთან კავშირი იყოვო. მან ბევრი ილაპარაკა მთავრობის მახლობელ სამოქალაქო პროგრამის შესახებ. ბოლოს სთქვა, მთავრობა დაამტკიცებს, რომ ბულგარეთი სიცოცხლით სავსე მხარე არისო. ტონჩევს შემდეგ ილაპარაკა გენადიევმა. ორატორმა მრავალი საბუთი მოიყვანა იმის დასამტკიცებლათ, რომ ხალხის უბედურობის მიზეზი მხო-

---

იყო დამაკმაყოფილებელი; იგინი ამბობდენ, თითქოს სხჭირო იყოს ხელოვნურ ნაწარმოებში დაფარული აზრის გათვალისწინება მხოლოდ მისთვის, რათა შეაძლებელი შეიქნეს ხელოვნური ფორმის შეფასება, როგორც ამ აზრის გარეგანი გამოხატულობისა.

მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ ხელოვნური ფორმა მხოლოდ გამოხატულობაა მასში დაფარული აზრისა, მაშინ მას მეორე ხარისხოვანი ელემენტის როლი ქონია მიჩენილი ხელოვნურ ნაწარმოებში, ვინაიდან უმთავრესი ის კი არ არის, რაც ხატავს, არამედ ის, რაც იხატება, მაშასადამე—შინაარსი და არა გარეგანი გამოსახვა ამ შინაარსისა.*) მაგრამ ხელოვნება ხომ მით არის ხელოვნება, რომ მისთვის ცენტრალური მნიშვნელობა სწორეთ ამ გარეგან ფორმას აქვს, ვინაიდან აზრი და შეხედულება, როგორც ასეთი, მხოლოდ გონების მუშაობის ნაყოფია და არა ხელოვნური შემოქმედებისა. მაშ, თუ გარეგანი ფორმაა უმთავრესი ძარღვი ხელოვნებისა, მაშინ ყოვლად შეუძლებელია რომ იგი მხოლოდ გამოხატულობა იყოს მასში ფარული შინაარსისა—ალბათ იგი მეტია, ვიდრე უბრალო გამოხატულობა, თორემ, ვიმეორებთ, ხელოვნებაში ხელოვნურ ელემენტს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე არა ხელოვნურს.

მაშ რაშია საქმე!

ხელოვნურ ნაწარმოებში ან ფორმაა უმთავრესი და ან შინაარსი; თუ ფორმა—მაშინ შინაარსის კვლევას ადგილი არ უნდა ქონდეს ხელოვნური ნაწარმოების შეფასების დროს; და თუ შინაარსი—მაშინ ხელოვნური ნაწარმოები უარგუმენტაციო დებულებათა კონა იქნება და მეტი არაფერი, და როგორც ასეთი, იგი მოკლებული იქნება ყველს სერიოზულ მნიშვნელობას.

მაგრამ ჩვენ ვხედავთ, რომ ხელოვნების მნიშვნელობა დღესდღეობით მაინც ეჭვმიუდგომელ ჭეშმარიტებათ არის მიჩნეული, და მეორე მხრით ჩვენ მოწმენი ვართ იმის, რომ ყოველი სერიოზული მკვლევარი ხელოვნური ნაწარმოებისა განსაკუთრებული ყურადღებით მისს „მატერიალურ'' მხარეს, მის შინაარსს ეპყრობა.

როგორ არის შესაძლებელი ამ გარემოების ახსნა? როგორ ურიგდება ხელოვნური ფორმა მის შინაარსს?

ჩვენ ვფიქრობთ, რომ როგორც შინაარსი, ისე ფორმა აუცილებელი ელემენტია ყოველი ხელოვნური ნაწარმოებისა; მაგრამ ფორმას მეტი მნიშვნელობა აქვს ხელოვნებაში, ვიდრე მას ექნებოდა, რომ იგი მხოლოდ გამოხატულობა ყოფილიყო განსაკუთრებული შინაარსისა. ჩვენ ვეცდებით დავამტკიცოთ, რომ ხელოვნებაში ფორმა შინაარსისათვის ისეთსავე როლს ასრულებს, როგორსაც ფილოსოფიურ ნაწარმოებში ლოღიკური არგუმენტაცია. თუ ჩვენ ეს დავამტკიცეთ, იმ შემთხვევაში ხელოვნურ ნაწარმოებში განსახიერებული მსოფლმხედველობის გამოკვლევა ისევე საინტერესოთ და მნიშვნელოვანათ უნდა იქნეს მიჩნეული, როგორც გამოკვლევა ყოველი **დასაბუთებული** შეხედულებისა.

უკვე ზევით მოგახსენეთ, რომ ნამდვილი ფილოსოფიური აზროვნება და გულწრფელი ხელოვნური შემოქმედება, ორივე ერთგვარი სულიერი განწყობილების შედეგს წარმოადგენს, შედეგს სამყაროს ფარული შინაარსის შემეცნების ღრმა სურვილისას. ვერც ფილოსოფოსი და ვერც ხელოვანი ვერ კმაყოფილდება არსებული სამყაროს ყველასათვის თვალსაჩინო სახით. იგი მიისწრაფის მის წიაღში დაფარული აზრისაკენ; ორივე ერთგვარივე დაჟინებით ესწრაფიან მის წვდომას. ხოლო გზა მათი სხვადასხვა ხასიათის არის; ფილოსოფოსი იწყებს არსებული, ნათელი ფორმებიდან და **ლოღიკური მსჯელობის** საშვალებით ერთს გაუწყვეტელს ინტელექტუალურ ძაფს აბამს სამყაროს იდუმალ არსამდი; იგი მიყვება ამ ძაფს და ამგვარათ სწვდება ცხოვრების ფარულ აზრს; იგი იმეცნობს მას.

ამგვარათ ფილოსოფოსის ფსიხიკის ლტოლვილების შედეგი **ლოღიკური** ფორმების საშვალებით **შემეცნებაა** არსებულის ფარული არსისა.

და როდესაც ჩვენ ვაფასებთ ფილოსოფოსის **შემეცნებას** ცხოვრების იდუმალი არსისას, ჩვენ მისი ლოღიკური ძაფის სიმაგრეს ვშინჯავთ, ჩვენ მის **ლოღიკურ არგუმენტებს** მივყვებით. თუ ეს ძაფი მაგარია ე. ი. ლოღიკური მსჯელობა ფილოსოფოსისა მტკიცეა, მაშინ ჩვენც ვიზიარებთ მის შემეცნებას სამყაროს არსისას. ხოლო როდესაც არგუმენტი სუსტია, მაშინ ფილოსოფოსის სისტემაც საეჭვო ჭეშმარიტებათ მიგვაჩნია. ასეთია ფილოსოფოსის გზა და ამ გზის ბოლო.

სულ სხვა გზას მისდევს ხელოვანი. იგი განიცდის ღრმა ლტოლვას მსოფლიოს ფარული არსის გათვალისწინებისაკენ; და ეს ლტოლვა ვერ კმაყოფილდება ლოღიკური არგუმენტაციის გზაზე ნელი სრბოლით; იგი პირდაპირ სწვდება ლოღიკის დაუხმარებლათ ცხოვრების წიაღში დაფარულს იდუმალ არსს და თავისებურათ ითვალისწინებს მას. **ხელოვნურ აღფრთოვანებას** უწოდებენ იმ მომენტს, როდესაც ხელოვანი გონების დაუხმარებლათ ლამობს ცხოვრების არსის წვდომას, და **ინტუიციას**—იმ ძალას, რომლის საშვალებითაც იგი თვის ლტოლვას აკმაყოფილებს. შედეგი ფილოსოფიური აზროვნებისა **შემეცნება** იყო, აქ კი შემეცნების მაგიერ ჩვენ წინა სდგას **განცდა** ცხოვრების იდუმალი არსისა.

ფილოსოფიის შემეცნების შეფასება შეიძლება მისი ლოღიკური არგუმენტაციის გზის გაშინჯვით. ხელოვანს კი ასეთი გზა არ აქვს. მაშ შეუძლებელი ყოფილა მისი **განცდის** ჭეშმარიტების განხილვა! მართლაც, სწვდა თუ არა ხელოვანი, თვისი ინტუიციით ცხოვრების ნამდვილ არსს? შეიძლება იგი სამყაროს არსის მაგიერ სხვას რასმე განიცდის?

მართლაც, როგორ შეიძლება ხელოვანის ინტუიტური განცდის ჭეშმარიტების შეფასება?

ხელოვანი ყოველთვის **შემოქმედია**. ამიტომ სამყაროს არსის განცდის შედეგი მუდამ დასაწყისია ხელოვნური შემოქმედებისა. ხელოვანი თვისი შემოქმედების მოტივათ ცხოვრების განცდილ პრინციპს იღებს და ქმნის ახალ ცხოვრებას, ახალ სამყაროს ამ პრინციპის მიხედვით. ასე რომ ბოლოს მისი ხელოვნური შემოქმედების შედეგს, ხელოვნურ ცხოვრებას მის ნაწარმოებში და ნამდვილს, არსებულ ცხოვრებას მის გარეშე მდგომს ობიექტიურ სამყაროში ერთი და იგივე პრინციპი უდევსთ საფუძვლათ. ხელოვანის როლი ხელოვნური ნაწარმოების დასრულებით თავდება, აქ კი იწყება როლი კრიტიკული დაფასებისა, კრიტიკა კითხულობს: შეეფერება თუ არა ხელოვნური სინამდვილე,—არსებული სამყაროს ფარული არსის განცდის შედეგი,—ნამდვილ სინამდვილეს,—გამოხატულობას ცხოვრების ფარული არსისას? თუ ხელოვანი ისეთ სახეთ ქმნის, რომელთა ნიშანდობლივი თვისებანიც არსებული სინამდვილის სახეს შეეფერებიან, იმ შემთხვევაში ჩვენს წინა სდგას განცდა მსოფლიოს ჭეშმარიტი არსისა. მაგრამ, როდესაც ხელოვნური სინამდვილე ყალბ სახეებს გვიხატავს, რომელთა რეალობაც ჩვენი **ცხოვრების ან სინამდვილის აღდოს** შეურაცხყოფს*), მაშინ აშკარაა, ხელოვანის ინტუიცია ვერ სწვდომია სამყაროს ნამდვილ არსს და ვერ განუცდია იგი სავსებით.

ასეთია ჩემი ღრმა რწმენით, ხელოვნური შემოქმედების არსი და აზრი. აქ ხელოვანის მსოფლმხედველობა (ცხოვრების ფარული არსის განცდა) ისეთივე ღრმა მნიშვნელოვანი მომენტია, როგორც თვით ხელოვნური სინამდვილე, რომლის დანიშნულებაც სწორეთ ამ მსოფლმხედველობის ჭეშმარიტების გამოაშკარავებაში მდგომარეობს. ჩვენი ესთეტიური თეორიით, ამგვარათ, ხელოვნური ნაწარმოების ფორმას იგივე მნიშვნელობა აქვს, რაც ლოღიკურ არგუმენტაციას ფილოსოფიური ჭეშმარიტების სიმტკიცისათვის. და თუ ეს ასე, მაშ გასაგები ყოფილა თუ რათ უნდა ვეძებდეთ ყოველს ხელოვნურ ნაწარმოებში ხელოვანის მსოფლმხედველობას, როგორც მის შინაარსს, და იმავე დროს რათ უნდა ვაფასებდეთ გარეგან ფორმას, როგორც ხელოვნური შემოქმედების უაღრესათ მნიშვნელოვან მომენტს.

მთელი სამკვიდრო ხელოვნებისა ორს დიდ ნაწილათ იყოფება. ერთი მხრით—ხელოვნური ნაწარმოებნი, რომელთა ძალაც უმთავრესათ ჩვენს გრძნობათა ამა თუ იმ სახის გამოწვევაში მდგომარეობს. ხელოვნების ამ სახეთ სარჩულათ ჰარმონია

*) საჭიროთ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ შემთხვევაში ფ ო რ მ ა და შ ი ნ ა ა რ ს ს ჩვენ სხვაგვარათ გვესმის, ვიდრე ეს ჩვეულებრივათ ხდება. შ ი ნ ა ა რ ს ს ვუწოდებთ ჩვენ იმ დ ე ბ უ ლ ე ბ ა ს, რომელსაც ასახიერებს ნაწარმოები, და ფ ო რ მ ა ს—თვით ხელოვნურ ნაწარმოებს თვისი სიუჟეტით და მთელი ,,ხელოვნური ფორმით''. ამგვარათ მაგალ. ილია ჭავჭავაძის ,,განდეგილის'' შინაარსი იქნება შეუძლებლობა ადამიანის აბსოლუტური სულის გამარჯვებისა ჩვენი ჩვეულებრივი სულის მოთხოვნილებებზე, და ფორმა—მთელი ნაწარმოები მისი ხილული სახით (სიუჟეტი და გარეგანი ფორმა).

*) აღსანიშნავია, რომ ყოველი ადამიანის არსებაში გონების ძალასთან ერთად არსებობს აგრეთვე განსაკუთრებული ძალა ცხოვრების პროცესის გაგებისა: ჩვენ ვგრძნობთ, რა არის შესაძლებელი და რა არა შესაძლებელი ცხოვრებაში რომ განხორციელდეს. ამ ძალას ჩვენ აქ ცხოვრების რეალობის აღდოს ვუწოდებთ. და აი სწორეთ ეს აღდოა ის ორგანო, რომელიც ხელოვნური ნაწარმოების ღირებულებას ზომავს.

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთად ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აბრეშუმის ჭიის თესლის
ხ. ხრისტოდულიდის ([illegible] საბერძნეთ [illegible] წერეთლის)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ ქრისტეშობისთვემდე [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთსა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი, **მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ.** შეკვეთის დროს [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შვანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია **ლევანტი ქქვთამჴს მე ნუცუბიძე**, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევში იარმურკაში.

დეპო ლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოეპოება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი საოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი ძვირფასი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

ლოდ და მხოლოდ ბულგარეთის დიპლომატია იყოვო.

**მექსიკა.** ხუერტამ ამერიკის რწმუნებულს განუცხადა: „სამსახურიდან არ გადავდგებიო". ხუერტამ ისიც განუცხადა რწმუნებულს: „თქვენს წინადადებას მაშინ მოვისმენ, თუ ეს წინადადება მექსიკის ღირსების შესაფერისი იქნებაო". მან მინისტრებს უბძანა, დაწყებული ბრძოლა განაგრძონ.

**ურგა.** მონგოლეთის მთავრობას ციხის საქმეებში ცვლილება შეაქვს. გადასწყვიტეს ციხეები რუსეთის ციხეების მზგავსათ მოაწყონ.

**სტამბოლი.** რუსეთისა და ინგლისი ელჩისა და დიდი ვეზირის თანდასწრებით სპარსეთის ელჩმა ხელი მოაწერა სპარსეთ-ოსმალეთის საზღვრების შესახებ პირობას. რუსეთისა, ინგლისისა, ოსმალეთისა და სპარსეთის დელეგატები სპარსეთს მიდიან.

ქიამილფაშის სიკვდილს პრესა გულცივარ მიეგება.

## წერილი ხარკოვიდან.

როგორც ვსწერდით, „ი. კ." 6 ოკტომბრის ნუმერში ბაბეცკიმ მოათავსა წერილი, სადაც ქართველ ხალხს ჩირქს სცხებდა... ჩვენ საპროტესტო წერილით ვუპასუხეთ, რაზეც მან ყურიც არ გაიბერტყა... გაწიწმატდა ქართველობა... ერთმა მათგანმა სახელდობ ალექსანდრე ლოლაძემ ვერ მოითმინა და ბაბეცკისადმი მიმართული შემდეგი ღია წერილი მოათავსა „უტრო"-ს 20 ოკტ. ნუმერში: „მ. ხ." ბ-ნო ბაბეცკი! „ი. კ." 6 ოკტომბრის ნუმერში თქვენ ინებეთ შეურაცხგეყოფ ქართველი ერის სიწმიდე—ქართველი ქალი... დიახ, ქართველი ქალი, რომელმაც უძველესი დროიდან სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და სახელმწიფოებრივი დროშა ააფრიალა... თქვენ შეურაცხყეთ „წმ. ნინო" „თამარ მეფე" და „ქეთევან წამებული".. თქვენ ჩირქი მოგვცხეთ ჩვენ და ყველა ქართველს... რის გამოც პროტესტი გამოგიცხადეთ... მაგრამ თქვენ, მოწყალეო ხელმწიფევ, არ ინებეთ პასუხი გაგეცათ... ყველა ამითი თქვენ თქვენი წერილი ვითომდა ჩანთქეთ.. ჩვენ კი ვალდებულათ ვრაცხთ თავს მოგთხოვოთ, ბ-ნო ბაბეცკი თქვენი წერილის სიმართლე საბუთიერათ დაგვიმტკიცოთ, ან არა და პრესის საშვალებით ბოდიში მოიხადეთ ჩვენი და მთელი ქართველის ერის წინაშე...

გაძლევთ 24 საათის ვადას პასუხისთვის, წინაამდეგ შემთხვევაში, ნება გვექნება გიწოდოთ საზიზღარი ცილის მწამებელი და არა ჟურნალისტი. პასუხს „ი. კ." დილის ნუმერში ველი...

ხარკოვის უნივერ. კურს დასრ. ამ ლოლაძე.

როგორც ეტყობა, ბობეცკი გააშმაგა ამ წერილმა... მის მაგიერ, რომ ბოდიში მოიხადოს და ამით თავისი დანაშაული გააბათილოს, ის უფრო აძლიერებს თვის წამოთქმულ სიტყვებსა და ამბობს: „მე მისთვის მოვიხსენიე გურული ქალები და მათი ზნედაცემულობა (?!), რომ „უფრო ნათლათ დამენახებია (?!) თქვენთვის რა სილატაკითაა მოცული მთელი მხარეო." აი, თუ გნებავთ...

ბაბეცკი გაკვირვებულია ლოლაძის წერილით და ამბობს: „მე სწორეთ განცვიფრებაში მოველ, როდესაც წავიკითხე ლოლაძის წერილი, რომელიც აცხადებდა, რომ მე შეურაცხვყავ ქართველთა სიწმინდე—ქართველი ქალი, რომ მე ჩირქი მოვსცხე წმ. ნინოს, თამარ მეფეს და ქეთევან წამებულსო." ისიც არ იცის საცოდავმა, რომ სწორეთ ჩირქი მოსცხო მთელ ქართველობასა და მათ ქართველი ქალი ზნედაცემულათ გააცნო, რუსეთის ინტელიგენციას, რომელიც კიდევ კარგათ ვერ იცნობს ქართველებს. „ნუთუ არ დაეჯერება სამ კაცსო, განაგრძობს ბაბეცკი, რომელთაც ყველა ეს მიამბესო," საკვირველია, ღმერთმანი.. როდესაც ჩვენ ოთხმოცი კაცი შევნიშნავთ და უსწორებთ შეცთომას, მას ის არ სჯერა და სამი კაცის ნაამბობი სინამდვილე, მიაჩნია. ჯიუტობს ბაბეცკი და მაინც თავისას გაიძახის... ნუთუ პატიოსან ჟურნალისტს შეშვენის ჯიუტობა...

ლოლაძის გადაჭრილ კითხვაზე „ყველა თქვენი ნათქვამი უტყუარი საბუთებით დამიმტკიცეო," ბაბეცკი გაოცებულათ უპასუხებს: „ნუთუ ყველა ეს დაიმტკიცება და ისიც უტყუარი საბუთებით." ასე რომ, თვის ნათქვამზე არც ბოდიშს იხდის და არც საბუთებით უნდა დაამტკიცოს.

„ძაღლი შინ არ ვარგოდა და სანადიროთ მიდიოდაო" სწორეთ ბაბეცკისთანა „ჟურნალისტებზეა" ნათქვამი. შინაურობაში ვერა შენიშნა რა და გურიაში გადავარდა: მაგრამ შინ უვარგისი არც გარეთ გამოდგა და გარიყული დარჩა...

ლ. ფ—ა.

რედაკ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

გამოცდილი მასწავლებელი,
ნაფიცი ვექილის თანაშემწე
ამზადებს და ამეორებიებს საშვალო სასწავლებლის მოწაფეებს (და ყველა მსურველსაც) ქართულსა და რუსულ ენებს, ლიტერატურასა და ისტორიას.
აქვე შეიძლება მიღება რჩევა-დარიგებისა
სამოსამართლო საქმეების შესახებ.
მოსწავლენი მიიღებიან ნაშვადღევის 5—6 საათამდი, კლიენტები-კი—საღამოს 6—7 საათამდი. კათოლიკეს ქუჩა სახლი ხოჯევანოვისა, ბინა ი. თ. ცინცაძისა.

კ. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში
მიღებულია შემდეგი ახალი წიგნები.

| | | |
|---|---|---|
| 1. | თ. ჟორდანია, ქართული ენისთვის ბრძოლა . . | ფ. ერთი აბაზი |
| 2. | ალ. ჰიჰინაძე მცენარეები და ცხოველები ცხელი ქვეყნებისა. . . . . . . | ფ. შვიდი შაური |
| 3. | გ. ხერუაშვილი, საქართველოს გმირი (გიორგი სააკაძე) . | ფ. ორი აბაზი |
| 4. | უცხო სიტყვათა ლექსიკონი . . . . | ფ. ერთი აბაზი |
| 5. | გ. ერისთავის რჩეული თხზულებანი—საკლასოთ სახელმძღვანელო წიგნი I . . . . . | ფ. სამი აბაზი |
| 6. | Кипшидзе. Зак. о прекращ. вр. обяз. отнош. крест. къ помѣщикамъ . . . . . | ц. 30 к. |
| 7. | Ильинъ. Поѣздка въ Сванетію . . . . | ц. 1 р. 25 к. |
| 8. | Кульманъ. Методика русскаго языка . . . | ц. 1 р. 30 к. |
| 9. | Дитмаръ. Курсъ географіи Россіи . . . | ц. — 60 к. |
| 10. | Обуховъ. Какъ вести занятія съ нѣсколькими отдѣленіями . . . . . . | ц. 1 р. 10 к. |
| 11. | Ницше. Автобіографія (Ecce homo) . . . | ц. 1 р. — |

უდევს, როგორც საშვალება ჩვენს გრძნობათა დისპოზიციაზე ზეგავლენისა. მათი დანიშნულებაა აამოქმედონ ჩვენს არსებაში უმთავრესათ ისეთი გრძნობანი რომელთაც თვით ხელოვანი განიცდის, როდესაც იგი ცხოვრების თუ არსებობის ფარულ ამოცანას თავისებურათ ხდის ფარდას. თუ მან ისეთს ხელოვნურ საშვალებათ მიმართა, რომ შესძლო ჩვენს არსებაში შესაფერი გრძნობების აშლა, მაშინ მისი მიზანი განხორციელებულათ უნდა ჩაითვალოს. ასეთ სახეთ ხელოვნებისას წარმოადგენს ყველაზე უწინარეს მუსიკა და ლირიკა, და ხუროთმოძღვრება.

სულ სხვაა ხელოვნების სახეთა მეორე რიგი! აქ გრძნობას იმდენი მნიშვნელობა აღარ აქვს. აქ უმთავრესი ცხოვრების **რეალურ სახეთ** შემოქმედებაა, მათი სინტეზი რეალურ ერთეულათ. მაშასადამე აქ უმთავრესათ **სიუჟეტია** და მისი შესრულება. ხელოვნების ამ მეორე დარგს ეკუთნის ყველაზე უწინარეს **ეპოსი** და შემდეგ **მსახიობობა**, რომელიც, ჩვენი აზრით, ხელოვნების ერთერთს დამოუკიდებელსა და სრულუფლებიან დარგს წარმოადგენს.

ამ ორ დარგს შუა საშვალო ადგილი უჭირავს სკულპტურასა და მხატვრობას, რომელთა დანიშნულებაც როგორც რეალურ გრძნობათა გამოწვევაში, ისე რეალური სინამდვილის სახეთა შემოქმედებაში მდგომარეობს.

ასეთია მოკლეთ ჩვენი ესთეტიური თეორია. ახლა განვიხილოთ, გაკვრით მაინც, რა საშვალებას მიმართავს ჩვენი პოეტი, რათა მისგან განცდილი იდუმალი არსი მსოფლიოსი მკითხველს გაუთვალისწინოს.

მისთვის უმთავრესი პრობლემა სიცოცხლის წარმტაცობა და სიკვდილის ბრმა აუცილებლობაა. იგი იკვლევს ბრძოლას ამ ორ პრინციპს შორის. თუ პოეტი საკმაოთ სწვდა სიცოცხლის ნამდვილ სახეს, ეჭვს გარეშეა, იგი მოისურვებს ჩვენს არსებაში ისეთ გრძნობათა აღძვრას, რომელიც სიცოცხლის გარკვეულსა და ნათელ სურათს დაგვიხატავს. ესევე ითქმის სიკვდილის პრინციპის შესახებაც. და პოეტიც მიმართავს მზეს, როგორც სიცოცხლის უკვდავ სიმბოლოს. და მართლაც სახე უჭკნობი სიცოცხლის პრინციპისა მშვენიერათ არის ამორჩეული. განა სიტყვა „მზესთან" ერთად ნათლათ არ წარმოუდგება ყველა ჩვენგანს უშრეტი წყარო ამ ქვეყნიური სიცოცხლისა! და პოეტი ერთი მადლიანი ხაზმოსმით კიდევ უფრო აცხოველებს მზის სახით გამოწვეულ გრძნობას უჭკნობი სიცოცხლისას:

„იგი არის ჯოჯოხეთი, ბნელ ბურუსის ალის მკვეთი, მოძრაობის შემომქმედი, ოქროს მფეთქი შადრევანი, ელვა მჭრელი, მეხ-ტალ-კვესი, პრომეთეის ამაკვნესი, სიცოცხლისა უხვათ მთესი. მისი კუბო და აკვანი".

აქ თვით ლექსთა წყობა, ცნებათა ერთმანეთზე თავისუფალი გადაბმა და მასში დამარხული ინტონანცია იმდენათ ხელოვნურათ არის ერთმანეთთან შეზავებული, რომ ყველა ერთად ერთს ეფექტს ემსახურება, ერთს გრძნობას იწვევს თქვენს არსებაში, გრძნობას, რომელიც აუცილებლათ აყვავდებოდა ადამიანის გულში, რომ მას მართლა შეეძლოს ჭვრეტა ძლევამოსილი მზის ცეცხლის თავისუფალი, ძალდაუტანებელი შემოქმედებისა.

ანდა მოისმინეთ შემდეგი ტირადა, რომელიც ნამდვილს თაყვანისცემის გრძნობას იწვევს ადამიანის არსებაში მზისადმი! აქ პოეტი საუკეთესო ხელოვნურ ხერხს მიმართავს: მან იცის, რომ თანაგრძნობა ან სიმპატია ფსიქოლოგიურათ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებათაგანია ადამიანის სულისა. მართლაც, რათ იწყევს ცირკის დარბაზში ყველა მაყურებელთა გომერიულ ხარხარს ისეთი სიტყვა მასხარისა, რომელიც სხვა შემთხვევაში ერთბაშათ შეუმჩნეველი დარჩებოდა? ეს გარემოება საუკეთესოთ გვიხატავს ადამიანის იმ ფსიქიურ თვისებას, რომელსაც „სიმპატია" ეწოდება. პოეტმა იცის ეს თვისება ადამიანის სულისა, და იგიც გვითვალისწინებს, თუ როგორ ეტრფის და თაყვანსა სცემს მთელი მსოფლიო ცხოველმყოფელი მზის სახეს და ჩვენს არსებაშიც წამოიჭრება ჩვენდა უნებურათ იგივე თაყვანისცემა მზისა; აბა მოუსმინეთ მგოსანს:

„ვის უმღერის ტყის ფოთოლი, ცელქ ნიავით დარხეული; ვის შესცინის ვერცხლის ნამი, ვარდის ყლორტზე დაფრქვეული? ვის უკინძავს გრძნეულ ჰანგებს ბროლ-ანკარა მთის ჩანჩქერი? ვის შეჰხარის დედამიწა, ტრფობის ალით ანძგერი? („მზის სიცილი" 51 გვ.)

ახლა შეხედეთ სიკვდილს! სიბნელე, ღამე მთის წიაღში ფარავს მთელს ხილულ მსოფლიოს; უკუნი ღამე რომ მთელ სამყაროში დამკვიდრდეს, მაშინ ჩვენი მხედველობისათვის ყველაფერი არარათ გადიქცევა. ამიტომ სიბნელე საუკეთესო სახე, რომელიც შესძლებს ჩვენში არარაობის გრძნობის გამოწვევას. ჩვენი პოეტი კი სწორეთ სიბნელეს ირჩევს სიკვდილის სიმბოლოთ.

ბრძოლა ცხოვრების პრინციპისა და სიკვდილს შორის, და სიკვდილის ბატონობა მსოფლიოში ჩვენს არსებაში არეულ გრძნობას უნდა იწვევდეს: ჯერ აღფრთოვანება და სიხარული, როდესაც გამარჯვების სასწორი სიცოცხლისაკენ იხრება და შემდეგ კიდევ მწარე სევდა და გულისტკივილი, როდესაც გამარჯვება სიკვდილს რჩება. ჩვენი მგოსანი სავსებით აწევს ამ ეფექტს, როდესაც „ჩაჰქრა დილა"-ში ჯერ დილის მომხიბვლელ სურათს გვიხატავს, რომელიც სულს ამაღლებს და ათრობს და შემდეგ სრულებით მოულოდნელათ, უეცრათ ამ ყვავილოვანის, გამოღვიძებული სიცოცხლის გაცამტვერებას გვითვალისწინებს. აბა ვილაპარაკოთ მგოსანი: „ცა ღელავდა ლურჯ ეთერში ოქროს ტალღებს ატოკებდა, ცის ზეფირი ფრთა გაშლილი ვარდათ ფურჩქვნილ სხივებს კრეფდა და შუქნაფეთქ დედამიწას დაბნევდა ყვავილთ კონად, თან სოფელიც მომავლისთვის უკვდავების გვირგვინს სწნავდა, ცა ღელავდა, ცა ელავდა". მაგრამ... „ქვესკნელთ სამყაროდან უცებ ქარმა დაიქროლა, ღრუბელთ გროვა წამოშალა და მზის სხივებს შეებრძოლა. გამარჯვების თაიგული უკუნს შერთო, გაამტვერა და შესცვალა მწარე კვნესათ ტკბილი ჰანგი და სიმღერა. სულს ოცნების ფრთა წაჰგლიჯა და წარიღო შავმა მტერმა—ქვესკნელიდან მონაბერმა... შავბნელ ნისლში მოამწყვდია ვარდზამბახი და ბილილა, ჩაჰქრა დილა, ჩაჰქრა დილა"...

ან და ამაზე უფრო მომხიბვლელია „ორი და", სადაც მშვენიერი ასულის უჭკნობი ვარდების თესვა იმედს გიყვავებსთ არსებაში, და მომავალი ნორჩი სიცოცხლის გაძლიერების მოლოდინში ხარობთ და ლაღობთ. მაგრამ... საშინელი სურათი ბრმათ მოარულის, შავათ მოსილის მეორე დისა მისი შეუბრალებელი ცელით, რომელიც დათესილსა და გაფურჩქვნილ ყვავილთ შეუბრალებლათ სჭრის, მწარე სასოწარკვეთილების გრძნობას აუფლებს თქვენს არსებაში, და თითოეული მოქნევა მისი ცელისა თითქოს სათითაოდ გლეჯს გულიდან თქვენს საუკეთესო იმედებს. მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ბრმათ მოარული ასული სიკვდილისა პროტესტს იწვევს ადამიანის სულის მხრით, და ბოლოს, სასტიკ ბრძოლას, შემდეგ სული პოეტისა სძლევს მას და უკვდავებას ეზიარება. თქვენ გრძნობთ აუტანელ სიმძიმეს, მზის უჭკნობი სიცოცხლისაკენ ადამიანის აღმაფრენას რომ ბორკავს; თქვენ გრძნობთ მთელს შხამის მსმეველ აუტანლობას ამ სიმძიმისას და მთელს სიდიადეს იმ ხსნის გრძნობისას, რომელიც ერთბაშათ აყვავდებოდა თქვენს არსებაში, რომ მას ის სიმძიმე არ ჩრდილავდეს. და როდესაც მგოსანი თავისი შორსმწვდომი ინტუიციით, თვისი შემოქმედი ფანტაზიის ერთი უცდომი გაშუქებით მყის იწვევს თქვენს არსებაში ყველა ამ გრძნობას, აშკარაა, მაშინ იგი თვის მიზანს უკლებლათ ახორციელებს.

„მზის წიაღისაკენ" მქროლავი სული შემოქმედისა, მთლად ლტოლვაა, მთლად სწრაფვაა ერთი მიზნისაკენ. მაგრამ შავი აჩრდილი სიკვდილისა მთელი თვისი ნდომის სიძლიერით შმაგობს, რომ შემოქმედის სულს გზა გადაუღობოს უკვდავი მზისაკენ. მაგრამ სული თითქოს თვის მიზანს უახლოვდება, და ამასთან ერთად თქვენც გრძნობთ, თითქოს თვითონ უსხლტებით ხელიდან საშინელ მტერს, თითქოს თვითონ იმოსებით ძლევით სიკვდილის ცელთან ბრძოლაში, და თქვენი არსება ივსება ძლიერი მოლოდინის გრძნობით, რომელსაც იმავე დროს სიხარულში ნარევი გრძნობებიც უერთდება. ერთი მომენტი... და სულის აღმაფრენი ბედიც გადასწყდება... პოეტი მოგვითხრობს, როგორ უახლოვდება შემოქმედის სული უკვდავების სრულყოფის სახეს—მზეს, როგორ უერთდება იგი მის ცხოველმყოფელ ტალღებს...

ტალღათ ლივლივში განვიცადე
სულისა შვება,
ცეცხლის მორევში შევსრიალდი
ხელებ-გაშლილი;
მარადისობის ვიგრძენ ძალა და
უკვდავება...
გასწყდა მიწისა შავი სიმი... გაჰქრა
აჩრდილი!..

დ. უზნაძე.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.